

ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი

ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით, სოფ. დიდი ლილოს აღმოსავლეთით, ყოფილი ძველი თბილისი-მარტყოფი საავტომობილო გზის ჩრდილო ნაპირზე.

1. პოლიგონის მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო 2010 წლის აპრილში და დასრულდა 2010 წლის 15 ნოემბერს.
2. მშენებლობის მეორე ეტაპი განხორციელდა 2013 წლის მარტიდან 2014 წლის აპრილის ჩათვლით.

პოლიგონის ინფრასტრუქტურა:

პოლიგონი შემოღობილია ლითონის ღობით. ტერიტორიაზე მოწყობილია შიდა გზები: ცენტრალური - ასფალტის და ტექნოლოგიური - ღორღის საფარით;

პოლიგონის ძირითადი ობიექტებია ნარჩენების საყარი უჯრედები, სადრენაჟო არხები და მილსადენები, ჭები, დასაყოვნებელი გუბურები ფილტრატი სითხეებისა და ზედაპირული წყლებისთვის, სახანძრო სატუმბი სადგური, ფილტრატის რეზერვუარი, გამწმენდი ნაგებობა. პოლიგონის შესასვლელში განლაგებულია დაცვის სათავსი განათების მართვით, რადიოაქტიური გამოსხივების დეტექტორით და დისტანციური დაკვირვების მონიტორებით, სასწორის ნაგებობა - 2 ერთეული 60 ტონიანი სასწორით, ადმინისტრაციული შენობა. სამეურნეო ეზო - სარემონტო და სასაწყობო შენობით, სატრანსფორმატორო, სასტაბილიზატორო სათავსებით, სტაციონარული გენერატორის დანადგარით, საწვავ-გასამართი კონტეინერით. ფეკალური მასების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა. სპეცტრანსპორტის ბორბლების გასარეცხი და სადეზინფექციო მოედანი პერსონალის კონტეინერით. უჯრედის პერსონალის საყოფაცხოვრებო კონტეინერები. პოლიგონის მუშა პერსონალის საყოფაცხოვრებო დროებითი შენობა. ზედაპირული დაბინძურებული წყლების გამწმენდი საფილტრი რეზერვუარები. პოლიგონის სამხრეთ კიდეზე განლაგებული გრუნტის წყლების სამონიტორინგო ჭები. ელექტროგაყვანილობისა და განათების ბოძები.

პოლიგონის ტერიტორიის მთლიანი ფართი შეადგენს 840 000 კვ.მ.-ს;

უჯრედი N1-ის ფართი შეადგენს დაახლოებით 80 000 კვ.მ. უჯრედის ქვაბული ამოღებულია 6,0 მ-მდე სიღრმეზე, ხოლო ზვინულის სიმაღლე ზედაპირიდან შეადგენს 35,0 მეტრს.

უჯრედის შევსება დაიწყო 2010 წლის 15 ნოემბერს და დასრულდა 2014 წლის 7 იანვარს. სულ უჯრედში დასაწყობდა 1 105 000 ტ. ქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ამავე პერიოდში მოხდა 50 000 ტ. უვარგისი მასალის განადგურება.

უჯრედი N2-ის ფართი შეადგენს დაახლოებით 65 000 კვ.მ.-ს; N2 უჯრედის შევსება დაიწყო 2014 წლის 7 იანვარს და 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოტანილია 268 724,0 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

უჯრედების ქვაბულში პროექტის მიხედვით მოწყობილია ჰიდრო საიზოლაციო კონსტრუქცია მაღალი სიმტკიცის პოლიმერული ფირის გამოყენებით.